დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს ევროპის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი
3 დეკემბერი, 2024

დასკვნის წარდგენის თარიღი
31 იანვარი, 2025

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 8

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 8

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 24

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 34

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 38

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 54

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს ევროპის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201954956
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	არჩილ ჩოჩია, ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ესტონეთი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ილია წიკლაური, კავკასიის საერთაშორისო უნივერსისტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ბოგვერაძე, კორძაძის საადვოკატო ბიურო, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სანდრო ტაბატაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დიმიტრი ცანავა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	კერძო სამართალი
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Private Law
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა (უმაღლესი აკადემიური განათლების II საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	კერძო სამართლის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0421 სამართალი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120 ECTS
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

შპს ევროპის უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა პირველად გადის აკრედიტაციას. პროგრამა ახალია და ამჟამად პროგრამაზე სწავლება არ ხორციელდება. პროგრამაზე სტუდენტების მიღება იგეგმება 2025-2026 სასწავლო წლიდან.

კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა არის 2 წელი (4 სემესტრი). სასწავლო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე და მთლიანობაში მოიცავს 120 ECTS კრედიტს (1 კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს). შესაბამისად, ერთი აკადემიური წლის სრული დატვირთვა შეადგენს 60 ECTS კრედიტს. კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს როგორც სასწავლო (90 ECTS კრედიტი), ისე კვლევით (30 ECTS კრედიტი) კომპონენტებს. სასწავლო კომპონენტის კრედიტები გადანაწილებულია შემდეგნაირად: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 35 ECTS კრედიტი (6 სავალდებული სასწავლო კურსი); ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 40 ECTS კრედიტი (არჩევითი საგნების ჩამონათვალიდან); და პრაქტიკის კომპონენტი - 15 ECTS კრედიტი. კვლევითი კომპონენტი ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომს 30 ECTS კრედიტის მოცულობით.

პროგრამაში მოიაზრება პერსონალის ჩართვა 13 ადამიანის რაოდენობით, აქედან 10 აკადემიური პერსონალი (აქედან 4 აფილირებული) და 3 მოწვეული. აკადემიურ პერსონალის სახით მოიაზრება 5 პროფესორის (აქედან 3 აფილირებული) და 5 ასოცირებული პროფესორის (აქედან 1 აფილირებული) ჩართვა. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა შეადგენს 11-ს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს ევროპის უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 3 დეკემბერს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი დაკომპლექტებული იყო ხუთი წევრით (2 დარგის ექსპერტი, 1 განათლების ექსპერტი, 1 დამსაქმებელი ექსპერტი, 1 სტუდენტი ექსპერტი), ჯგუფს თან ახლდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორი წარმომადგენელი.

ვიზიტი მიმდინარეობდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თანმიმდევრული შეხვედრებით შპს ევროპის უნივერსიტეტის წარმომადგენელ სხვადასხვა ჯგუფებთან (შპს ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, თვითშეფასების ჯგუფი, პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტები, მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულები, ქარისხის

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

სამსახური) და აგრეთვე მოიცავდა ევროპის უნივერსიტეტის ტურს, მატერიალური რესურსების დასათვალიერებლად. ვიზიტმა ჩაიარა სამუშაო, კონსტრუქციულ გარემოში. შპს ევროპის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა სრულად ითანამშრომლეს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შპს ევროპის უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და სამართლის დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა შემდეგნაირად:

№	სტანდარტი	შეფასება
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

- 1.2. რეკომენდებულია, სავალდებულო იურიდიული პრაქტიკის (კლინიკის) კერძო სამართლის მიმართულებით მინიმუმ 1-წლიანი სამუშაო გამოცდილებით ჩანაცვლების შემთხვევაში, ზუსტად იყოს გაწერილი პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- 1.3. სასურველია, სასწავლო კურსის წინაპირობის დაწესების ან შეცვლის შემთხვევაში, როგორც გამოკვეთილი პრობლემის აღმოფხვრის მიზნით გადადგმული კონკრეტული ნაბიჯი განხორციელდეს იმგვარად, რომ სტუდენტებს არ მოუწიოთ გაუთვალისწინებლად დამატებით საგნის აღება;
- 1.4. სასურველია, პროგრამის აღწერაში ჩაემატოს განმარტება, რომ სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს "საშუალოდ" 30 კრედიტი;
- 1.5. სასურველია, ცალკეული სასწავლო კურსების თემატიკის დაბალანსება (თემების შერჩევის საკითხში) და თემების თანმიმდევრობის უფრო ლოგიკურად გადანაწილება;
- 2.4. სასურველია, უნივერსიტეტმა შეცვალოს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე 3 წევრისგან და გაზარდოს ის 5-მდე, რადგან კომისია უფლებამოსულია თუ მას ესწრება საერთო შემადგენლობის 2/3 მაინც;

- 3.2. სასურველია, უნივერსიტეტმა დაგეგმოს კონკრეტული აქტივობები, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ მკაფიო წარმოდგენა უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური წერის სტილისა და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტებთან დაკავშირებით;
- 4.3. სასურველია, ევროპის უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ პროგრამაში ჩართულ ყველა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ჰქონდეს Google Scholar, Reseachgate, ORCID, Scopus/Elsevier, Web of Science/Clarivate პლატფორმებზე ანგარიშები.
- 4.5. მიზანშეწონილია უსდ-მ გააძლიეროს სტუდენტთა მეტი რაოდენობის მოზიდვის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების დაფინანსება, რათა გაიზარდოს პროგრამის შემოსავალი და არ იყოს შეზღუდული პროგრამის განვითარებისაკენ მიმართული აქტივობების განხორციელება, რომლებიც ხშირად მნიშვნელოვან ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

შპს ევროპის უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა არგუმენტირებული პოზიცია კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფმა გამოგზავნილი არგუმენტირებული პოზიცია განიხილა და შესაბამისად:

რეკომენდაცია 1.2 - შპს ევროპის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია არ იქნა გაზიარებული;

რეკომენდაცია 1.5 - შპს ევროპის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებული იქნა და შესაბამისი რეკომენდაცია („რეკომენდებულია, ცალკეული სასწავლო კურსების თემატიკის დაბალანსება (თემების შერჩევის საკითხში) და თემების თანმიმდევრობის უფრო ლოგიკურად გადანაწილება“) გადაკეთდა რჩევად.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ევროპის უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობა დაიწყო 2021 წელს, უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. შესაბამისად შეირჩა პროგრამის ხელმძღვანელი და შეიქმნა პროგრამის კომიტეტი (კომიტეტში ჩაართულები იყვნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები). ჩატარდა პირველადი ბაზრის კვლევა. ასევე, ჩატარდა დაინტერესებული მხარეების მიერ შეფასების ანალიზი (2023 წელს) და პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის გარე ფაქტორების ანალიზი (2024 წელს). პროგრამის შემუშავება განხორციელდა უნივერსიტეტში მოქმედი "საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების" შესაბამისად. განსაზღვრულ იქნა კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, რომლებიც დარგობრივ მახასიათებლებთან და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაშია.

პროგრამის მიზნებია:

1. შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა კერძო სამართლის სფეროში არსებული გამოწვევების, ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის, ქართული კერძო სამართლის განვითარებაზე ევროკავშირის სამართლის გავლენის შესახებ და შედარებითსამართლებრივი 9 საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში მეთოდოლოგიის დახმარებით გამოიმუშავოს ეროვნული კერძო სამართლის კანონმდებლობის ანალიზის, დახვეწისა და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
2. გამოუმუშაოს კერძო სამართლის სფეროში რთული პრობლემების კომპლექსურად შეფასების, კრიტიკული ანალიზისა და მათი გადაწყვეტის

ინოვაციური/ორიგინალური გზებისა და შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბების, საერთაშორისო მონაცემების დამოუკიდებლად მოძიების, კვლევითი პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და ეთიკური ნორმების დაცვით სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის შემუშავების უნარი;

3. ჩამოუყალიბოს ეთიკური სტანდარტების დაცვით ეფექტური კომუნიკაციისა და როგორც აკადემიური, ისე პროფესიული საზოგადოებისთვის სამართლებრივი დასკვნებისა და არგუმენტების გადაცემა-გაზიარების უნარი;
4. გამოუმუშაოს პროფესიული ეთიკის ნორმებისა და დემოკრატიული ღირებულებების გათვალისწინებით მოქმედების, კერძო სამართლის სფეროში შეძენილი პროფესიული ცოდნის, პრაქტიკის და სამართლებრივი ღირებულებების განვითარების უნარი.

პროგრამის მიზნები ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზნების შესაბამისად მომზადებული კვალიფიციური კადრებით, მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამას წვლილი შეაქვს სფეროს და საზოგადოების განვითარებაში. როგორც უკვე აღინიშნა, პროგრამის შემუშავების პროცესში ჩატარდა შრომის ბაზრისა და პოტენციური დამსაქმებლების კვლევების ანალიზი და პროგრამის კომიტეტმა რელევანტური ცლილელები შეიტანა პროგრამაში, რითაც აღნიშნული პროგრამა მოარგო შრომის ბაზარს, ტენდენციებსა და მოთხოვნებს. პროგრამის შემუშავების დროს აგრეთვე გათვალისწინებული იყო მსგავსი პროგრამები საქართველოსა და უცხოეთში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ამსტერდამის უნივერსიტეტი, ვაშინგტონის უნივერსიტეტი და ა.შ.).

კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები აგრეთვე შესაბამისობაშია შპს ევროპის უნივერსიტეტის მისიასთან, რომელიც აღწერილია უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებულ შპს ევროპის უნივერსიტეტის 2019 – 2025 წლების სტრატეგიის დოკუმენტში. უნივერსიტეტის მისიაა:

- სტუდენტზე ორიენტირებული, ხარისხიანი უმაღლესი განათლების შეთავაზება;
- ადგილობრივი და საერთაშორისო დასაქმების ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება;
- სამეცნიერო/კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება;
- საქართველოში ცოდნის საზოგადოებასა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირებაში აქტიური მონაწილეობა და საკუთარი წვლილის შეტანა;
- კრიტიკული აზროვნების, ინოვაციური და აკადემიური უნარ-ჩვევების განვითარებით, ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თვითრეალიზებისა და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა;
- სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა;

- სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, საზოგადოების განვითარებაზე ზრუნვა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების უზრუნველყოფა, ტოლერანტობის, ურთიერთპატივისცემისა და კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა.

კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე, პროგრამის ხელმძღვანელი მუშაობს უნივრსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან ერთად. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება 39 ქვეყნის 108 უნივერსიტეთან, სამართლის მიმართულებითაც, აგრეთვე უნივერსიტეტი არის რელევანტური საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი. უნივერსიტეტს ააქვს გამოცდილება უმასპინძლოს საერთაშორისო კვირეულს (https://eu.edu.ge/ge/news/2333-evropis-universitetma-saertashoriso-kvireuls-umaspindzla) და ინტერნაციონალიზაციის მიზნების მიღწევისთვის მიმართულ სხვადსხვა ღონისძიებებს. ინტერნაციონალიზაციის მიზნების მისაღწევად, ხარჯები გაწერილია ბიუჯეტშიც (მუხლი 7.2, 15 000 ლარი).

ვინაიდან შპს ევროპის უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ახალია და პირველად გადის აკრედიტაციას, პროგრამა, პროგრამის მიზნები და რელევანტური ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებგვერდზე საჯარო ჯერ არ არის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- შპს ევროპის უნივერსიტეტის 2019 – 2025 წლების სტრატეგიის დოკუმენტი https://eu.edu.ge/sites/default/files/2020-04/legal/strategic/ევროპის%20უნივერსიტეტის%20სტრატრატეგიული%20განვითარების%20დოკუმენტი%20(2019%20-%202025).pdf
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა
- შპს ევროპის უნივერსიტეტის ვებგვერდი https://eu.edu.ge
- კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის გარე ფაქტორების ანალიზი
- პროგრამის შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ - ანალიზი
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ევროპის უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია პროგრამაში. სწავლის შედეგები შემუშავებულია უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების მიხედვით. მოწოდებული დოკუმენტაციითა და ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სწავლის შედეგების შემუშავებასა და ჩამოყალიბებაში ჩართულები იყვნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები.

პროგრამა აგრეთვე გაეგზავნა დამოუკიდებელ ექსპერტს, გარე შეფასებისთვის. დამოუკიდებელი ექსპერტის რჩევა იყო სწავლის შედეგების რაოდენობა განსაზღვრულიყო 10-ით, რაც უნივერსიტეტმა არ გაიზიარა და პროგრამის სწავლის შედეგების საბოლოო რაოდენობამ შეადგინა 11.

ექსპერტთა მოსაზრებით, სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია სამართლის დარგობრივი მახასიათებლებისა და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეშვიდე დონის შესაბამისად და შეესაბამება მოთხოვნებს. პროგრამის 11 სწავლის შედეგი მოიცავს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დამთავრების შემდეგ. გარდა მცირედი გაურკვევლობისა პრაქტიკულ კომპონენტში (იხილეთ ქვევით), პროგრამის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური, რაც აგრეთვე დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკით, სადაც კონკრეტულად არის განსაზღვრული თუ სწავლის რომელი კომპონენტი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას და რა ხარისხით.

პროგრამის სწავლის შედეგებია:

ცოდნა და გაცნობიერება

1. ფლობს კერძო სამართლის სხვადასხვა პრობლემისა და ინსტიტუტის შესახებ ღრმა და სისტემურ ცოდნას, რომლის საფუძველზეც სიღრმისეულად აღწერს კერძო სამართლის სფეროში ეროვნული მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის განვითარების თავისებურებებს, მის ხარვეზებსა და სრულყოფის გზებს, თანამედროვე სამართლებრივი სისტემების, სამოსამართლო სამართლის საკითხების, სამოსამართლო ეთიკის წესებსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სპეციფიკას, სამედიაციო ეთიკის ნორმებს, მართლმსაჯულების ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პერსპექტივებს.
2. ხსნის ეროვნულ კერძო სამართალზე ევროკავშირის კერძო სამართლის ზემოქმედების თავისებურებებს, კერძო სამართლის ევროპეიზაციის პროცესს, აღწერს ეროვნული და სხვა სახელმწიფოთა კერძო სამართლის მიღწევებს, განვითარების ტენდენციებს, ადგენს შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენების მნიშვნელობას;
3. აღწერს აკადემიური წერის სტანდარტებს, კერძო სამართლის სფეროში საკვლევი თემატიკის შერჩევის, სამეცნიერო კვლევის დაგეგმვის, ნაშრომის არქიტექტონიკის განსაზღვრისა და ციტირების ტექნიკის თავისებურებებს, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის წესებს, პროფესიული სამეცნიერო ტექსტის შექმნის სპეციფიკასა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ეთიკურ ასპექტებს, იურიდიული კვლევის მეთოდებს;

უნარი

4. კომპლექსურად აფასებს რთულ კერძოსამართლებრივ საკითხებს, იურიდიულ შემთხვევათა ფაქტობრივ გარემოებებს, პოულობს კერძო სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობაში ხარვეზებს და პრაქტიკაში წამოჭრილ პრობლემებს;
5. კერძო სამართლის ნორმების განმარტებით, კრიტიკული ანალიზისა და შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებით შეიმუშავებს პრობლემების გადაწყვეტისა თუ კერძო სამართლის ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფის ახალ და ორიგინალურ გზებს/დასკვნებს, განსაზღვრავს მიღებული გადაწყვეტილებების უარყოფით და დადებით შედეგებს;
6. განაზოგადებს კერძო სამართლის კანონმდებლობას, თანამედროვე ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკისა და პრეცედენტების განვითარების ძირითად ტენდენციებს, ადგენს საერთაშორისო და ეროვნული კერძო სამართლის ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, განმარტავს ევროპული კერძო სამართლის სფეროში არსებულ სიახლეებს, აანალიზებს და აფასებს მათ დადებით თუ უარყოფით შედეგებს;
7. კერძო სამართლის აქტუალურ საკითხებზე დამოუკიდებლად გეგმავს სამეცნიერო-კვლევით პროცესს და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით, უახლესი მეთოდების, მიდგომების, ნაშრომებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს სამეცნიერო - კვლევით ნაშრომს;

8. კრიტიკულად აანალიზებს კერძო სამართლის სპეციალისტისთვის მნიშვნელოვან მონაცემებს, მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, კერძო სამართლის კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს, უახლეს სასამართლო პრაქტიკისა და კერძო სამართლის მეცნიერების განვითარების ტენდენციებს, ასევე, გადასცემს კერძო სამართლის აქტუალურ საკითხებზე შემუშავებული საკუთარი კვლევის შედეგებს როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ საზოგადოებას ზეპირი და წერილობითი ფორმით;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

9. აღიარებს და პატივს სცემს პროფესიულ ღირებულებებს, სამოსამართლო ეთიკის სტანდარტებსა და მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებს, სამედიაციო ეთიკის ნორმებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგებს, დამოუკიდებლად იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების, კერძოსამართლებრივი პრინციპებისა და ღირებულებების დაცვით. საჭიროებისამებრ მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების მიზნით ხელს უწყობს კერძო სამართლის სფეროში შეძენილი ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებას, სამართლებრივი ღირებულებების თუ კერძო სამართლის თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით;
10. შეიმუშავებს ახალ სტრატეგიულ მიდგომებს, რომელთა დახმარებითაც ადაპტირდება განსხვავებული შეხედულებების ადამიანთა მრავალფეროვან ჯგუფებში, უზიარებს საკუთარ გამოცდილებას, იძენს მაღალი დონის პირად ავტონომიას და იღებს პასუხისმგებლობას როგორც საკუთარ, ისე სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე, ქმნის შესაბამის პირობებს საერთო გუნდური გადაწყვეტილების მიღწევის მიზნით;
11. ავლენს როგორც ქართული, ისე უცხოური სამართლებრივი საინფორმაციო რესურსებიდან, პირველადი წყაროებიდან უახლესი კერძოსამართლებრივი მონაცემების ავტონომიურად მოძიების, სწავლისა და კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს, ასევე, გეგმავს და მართავს სამუშაო დროს, შეიმუშავებს კვლევის წარმოების შესახებ სტრატეგიულ მიდგომას ნაშრომის მომზადების მიზნით.

კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურ კავშირშია და შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც აგრეთვე დასტურდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკით. პროგრამის სწავლის შედეგები, პროგრამის კომიტეტში დაინტერესებული მხარეების აქტიურად ჩართულობის შედეგად, ითვალისწინებს ბაზრის მოთხოვნებს და შეესაბამება მათ.

საგანმანათლებლო პროგრამაში არის გათვლილი სავალდებულო იურიდიული პრაქტიკის (კლინიკა) კომპონენტი, 15 ECTS კრედიტის მოცულობით. პრაქტიკის კომპონენტი გათვლილია პროგრამის შემდეგი სწავლის შედეგების მისაღწევად (IV, VI, VIII, IX, X, XI). სასწავლო გეგმაში

ნათქვამია, რომ „იურიდიული კლინიკა შეიძლება განხორციელდეს იმ ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და ორგანოებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები“. უნივერსიტეტში არის შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების და შეფასების წესი, რომლითაც განისაზღვრება ამ კომპონენტის შეფასება. ამავე დროს, პროგრამის მიხედვით, „პრაქტიკის გავლა არ არ არის სავალდებულო იმ სტუდენტისათვის, რომელსაც აქვს კერძო სამართლის მიმართულებით მინიმუმ 1-წლიანი სამუშაო გამოცდილება, ამასთან, აღნიშნული სამუშაო გამოცდილებიდან, პრატიკის გავლის მომენტისათვის, არ არის გასული 2 წელზე მეტი. მოცემულ შემთხვევაში პრაქტიკის კომპონენტისთვის განკუთვნილი კრედიტების მოცულობას (15 ECTS კრედიტი) სტუდენტი ითვისებს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებით“. მოცემული გამონაკლისი ლოგიკური და გააზრებულია, მაგრამ საჭიროებს სიზუსტეს. პროგრამასა და საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების და შეფასების წესში არ არის გაწერილი ასეთ შემთხვევაში კონკრეტულად როგორ მოხდება სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის გარე ფაქტორების ანალიზი
- პროგრამის შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ - ანალიზი
- საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების და შეფასების წესი
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სავალდებულო იურიდიული პრაქტიკის (კლინიკის) კერძო სამართლის მიმართულებით მინიმუმ 1-წლიანი სამუშაო გამოცდილებით ჩანაცვლების შემთხვევაში, ზუსტად იყოს გაწერილი პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	☒	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ევროპის უნივერსიტეტში სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად, და ეს მეთოდოლოგია იქნება გამოყენებული კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისასაც. ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად, კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოხდება შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი მოიცავს შეფასებას წინასწარ გაწერილი კონკრეტული ინდიკატორების საფუძველზე და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასებას. სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი კი გულისხმობს კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვასა და ამ გამოკითხვის შედეგების ანალიზს.

სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდისთვის, როდესაც გამოიყენება წინასწარ გაწერილი ინდიკატორები, ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების რუკა. ამ შეფასების რუკის მიხედვით კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 11-ვე სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია შესაბამისი შეფასების ინდიკატორები, რაც ლოგიკურია და შეფასების პროცესს ეფექტიანიას ხდის. თითოეული ინდიკატორის შეფასებისთვის განსაზღვრულია ხუთი დონე (სრულიად ვერ აკმაყოფილებს; ვერ აკმაყოფილებს; აკმაყოფილებს; მეტწილად აკმაყოფილებს; სრულიად აკმაყოფილებს). შეფასების რუკაში, თითოეული ინდიკატორისა და შეფასების თითოეული დონისთვის გაწერიალია შეფასების რუბრიკები, შესაძლებელია დადგინდეს თუ რომელ სასწავლო კურსებში ფასდება შესაბამისი ინდიკატორი, მითითებულია შეფასების კომპონენტი და მეთოდი თითოეული ინდიკატორისთვის და დადგენილია სამიზნე ნიშნულები. იმ შემთხვევაში, თუ სწავლის შედეგების შეფასების პროცესში რომელიმე ინდიკატორში ნაშრომების 10%-ზე მეტი შეფასდება დონეებით „სრულიად ვერ აკმაყოფილებს“ ან „ვერ აკმაყოფილებს“, ამ შემთხვევაში ეს ხდება რეაგირების მიზეზი და ტარდება კვლვეა ამ მიზეზების დასადგენად.

როგორც უკვე აღინიშნა, სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი აგრეთვე მოიცავს სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასებას. ამ შემთხვევაშიც, თუ კონკრეტულ სასწავლო

კომპონენტში ბოლო სამი წლის განმავლობაში სტუდენტების 10%-ზე მეტი მუდმივად იღებს შეფასებას F (ჩაიჭრა; 50 ქულა და ნაკლები), ეს ხდება რეაგირების საფუძველი. ანალიზისთვის გამოყენებულ სასწავლო კომპონენტზე დარეგისტრირებული სტუდენტების მინიმალური რაოდენობა უნდა იყოს 10.

ამავე დროს, სავალდებულო იურიდიული პრაქტიკის (კლინიკის) კერძო სამართლის მიმართულებით მინიმუმ 1-წლიანი სამუშაო გამოცდილებით ჩანაცვლების შემთხვევაში, სწავლის შედეგების შეფასება საჭიროებს დაზუსტებას, როგორც კომპონენტ 1.2-ს ანალიზშია დეტალურად აღწერილი.

როგორც აღინიშნა, შპს ევროპის უნივერსიტეტში სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი გულისხმობს კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვასა და ამ გამოკითხვის შედეგების ანალიზს. ამ პროცესს კოორდინაციას უწევს ხარისხის სამსახური, გამოკითხვა ხორციელდება წინასწარ შედგენილი კითხვებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ დაინტერესებული მხარეები ფლობენ ინფორმაციას შპს ევროპის უნივერსიტეტში შეფასების არაპირდაპირი მეთოდის შესახებ და აქტიურად არიან მასში ჩართული.

თუ სწავლის შედეგების შეფასებით დგინდება რეაგირების საჭიროება, შპს ევროპის უნივერსიტეტში ეს რეაგირება ხორციელდება ორ ეტაპად, თავდაპირველად ხდება მიზეზების კვლევა და შემდეგ პრობლემების მოგვარებისკენ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. მიზეზების კვლევაში იგულისხმება თვისებრივი კვლევა ფოკუს ჯგუფის ან პირისპირ ინტერვიუირების მეთოდით, სტუდენტების და ლექტორების ჩართვით, აგრეთვე სილაბუსებისა და სტუდენტური ნაშრომების ანალიზი. დადგენილი პრობლემების მოგვარებისკენ კონკრეტულ ნაბიჯებში იგულისხმება, მაგალითად: სასწავლო კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების შეცვლა; სასწავლო კომპონენტის კრედიტებისა და შესაბამისად კომპონენტის ასათვისებლად გამოყოფილი სამუშაო საათების შეცვლა; სასწავლო კომპონენტის ფარგლებში ლექტორთან საკონტაქტო საათების შეცვლა; სასწავლო კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდების შეცვლა; სასწავლო კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურის შეცვლა; სასწავლო კურსის წინაპირობის დაწესება ან შეცვლა და ა.შ. ამავე დროს, აკრედიტაციის ექსპერტთა აზრით, სასურველია, სასწავლო კურსის წინაპირობის დაწესების ან შეცვლის შემთხვევაში, ეს ისე მოხდეს რომ სტუდენტებს არ მოუწიოთ გაუთვალისწინებლად დამატებით საგნის აღება. მომიჯნავე პროგრამების გენეჯმენტზე დაყრდნობით და აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის შეფასების ანალიზის შედეგებს უნივერსიტეტი აცნობს დაინტერესებულ მხარეებს. ევროპის უნივერსიტეტი აგრეთვე ახდენს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებაში, რაც გამოიხატება სხვადასხვა კურსებისა და ტრეინინგების ორგანიზებით. ინფორმაციას ამ საშუალებების და მხარდაჭერის შესახებს პერსონალი რეგულარულად იღებს უნივერსიტეტიდან მეილების საშუალებით და პროგრამის ხელმძღვანელისგან.

მიუხედავად იმისა, რომ შპს ევროპის უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ახალია და ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული, და შესაბამისად, მისი შედეგების შეფასება შეუძლებელია, უნივერსიტეტში არსებული რეგულაციები და უნივერსიტეტის გამოცდილება, სამართლის საბაკალავრო პროგრამის განახორციელების ჩათვლით, იძლევა საფუძველს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისა ამ შეფასების პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოყენების მექანიზმები დადებითად შეფასდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია
- სწავლება-სწავლის მეთოდების/აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის გარე ფაქტორების ანალიზი
- პროგრამის შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ - ანალიზი
- საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების და შეფასების წესი
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სასწავლო კურსის წინაპირობის დაწესების ან შეცვლის შემთხვევაში, როგორც გამოკვეთილი პრობლემის აღმოფხვრის მიზნით გადადგმული კონკრეტული ნაბიჯი განხორციელდეს იმგვარად, რომ სტუდენტებს არ მოუწიოთ გაუთვალისწინებლად დამატებით საგნის აღება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ევროპის უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების მიხედვით. პროგრამის შემუშავებასა და გაუმჯობესებაში, აგრეთვე აქტიურად იყო ჩართული პროგრამის კომიტეტი (კომიტეტში ჩაართულები იყვნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები). ამავდროულად, უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული მასალებით და აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით დგინდება, რომ პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე.

კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა არის 2 წელი (4 სემესტრი). სასწავლო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე და მთლიანობაში მოიცავს 120 ECTS კრედიტს (1 კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს). შესაბამისად, ერთი აკადემიური წლის სრული დატვირთვა შეადგენს 60 ECTS კრედიტს. ამავდროულად, სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვით, კრედიტების რაოდენობა აკადემიური წლის განმავლობაში შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 ECTS კრედიტისა.

კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს როგორც სასწავლო (90 ECTS კრედიტი), ისე კვლევით (30 ECTS კრედიტი) კომპონენტებს. სასწავლო კომპონენტის კრედიტები გადანაწილებულია შემდეგნაირად: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 35 ECTS კრედიტი (6 სავალდებული სასწავლო კურსი: სამოსამართლო ეთიკა, ქართული კერძო სამართალი ევროპულ და საერთაშორისო კონტექსტში, სამოქალაქო საპროცესო სამართალი (პრაქტიკუმი), შედარებითი საკორპორაციო სამართალი, მოლაპარაკება და მედიაცია, კერძოსამართლებრივ დავებში (პრაქტიკუმი), აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები); ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 40 ECTS კრედიტი (არჩევითი საგნების ჩამონათვალიდან); და პრაქტიკის კომპონენტი - 15 ECTS კრედიტი. კვლევითი კომპონენტი ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომს 30 ECTS კრედიტის მოცულობით. პროგრამას აქვს გამოკვეთილი პრაქტიკისკენ მიმართული ორიენტაცია, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მას სძენს გარკვეულ ინდივიდუალურობას. ამავდროულად, სასწავლოს კურსების და ზოგადად პროგრამის შინაარსი ისეა შედგენილი, რომ სფეროს თანამედროვე მიღწევები და კვლევის შედეგები გათვალისწინებულია. სასწავლო სემესტრი I ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო 5

სასწავლო კურსს; სასწავლო სემესტრი II ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს ბოლო, მე-6 სავალდებულო სასწავლო კურსსა და ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს 40 ECTS კრედიტის მოცულობით (სტუდენტს საშუალება აქ აირჩიოს მინიმუმ 8 საჭირო სასწავლო კურსი 17-დან); სასწავლო სემესტრი III ეთმობა პრაქტიკულ კომპონენტს, იურიდიული (კლინიკა) პრაქტიკა 15 ECTS კრედიტი; ხოლო ბოლო, IV სასწავლო სემესტრი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომს. კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას.

შპს ევროპის უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აღწერაში (კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის მოცულობა, გვ. 10) წერია, რომ "სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი". ამავე დროს, პროგრამის სასწავლო გეგმით (დანართი 5, კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა) ირკვევა, რომ კრედიტების გადანაწილების სემესტრული გეგმა შემდეგნაირია: სასწავლო სემესტრი I – 29 ECTS კრედიტი; სასწავლო სემესტრი II – 31 ECTS კრედიტი; სასწავლო სემესტრი III – 30 ECTS კრედიტი; და სასწავლო სემესტრი IV – 30 ECTS კრედიტი. შესაბამისად, პირველ სემესტრის გავლის შემდეგ სტუდენტი ამ მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს, მიუხედავად იმისა რომ ეს დაშვებულია სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვით. შესაბამისად, სასურველია, პროგრამის აღწერაში ჩაემატოს განმარტება, რომ სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს "საშუალოდ" 30 კრედიტი.

რაც შეეხება კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციას, სწავლის სფეროსა და საფეხურის თავისებურებებიდან გამომდინარე, ეს ასპექტი საკმარისად არის გათვლილი. პროგრამა აძლევს სტუდენტებს საშუალებას, რომ ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში, ორი საგანი Legal Communication (5 ECTS კრედიტი) და Legal English for Professionals (5 ECTS კრედიტი) გაირაონ ინგლისურ ენაზე. აგრეთვე, სასწავლო კურსებში მითითებულ ლიტერატურაში აქცენტი კეთდება უცხოურ ლიტერატურაზე. ამასთანავე, პროგრამის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყო მსგავსი პროგრამები და მათი სპეციფიკა, შინაარსი, სტრუქტურა და გამოცდილება უცხოეთში, კერძოდ ამსტერდამის უნივერსიტეტი, ვაშინგტონის უნივერსიტეტი და ა.შ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი პროგრამის სწავლის სფეროსა და საფეხურის თავისებურებებიდან გამომდინარე ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს.

ვინაიდან შპს ევროპის უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ახალია და პირველად გადის აკრედიტაციას, პროგრამა უნივერსიტეტის ვებგვერდზე საჯარო ჯერ არ არის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის აღწერაში ჩაემატოს განმარტება, რომ სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს "საშუალოდ" 30 კრედიტი.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ევროპის უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე და მთლიანობაში მოიცავს 120 ECTS კრედიტს (1 კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს). ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები 6 კრედიტიანია, გარდა ერთი სასწავლო კურსისა (სამოსამართლო ეთიკა), რომელიც 5 კრედიტიანია. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები ყველა 5 კრედიტიანია. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ კერძო სამართლის სასწავლო პროგრამის შემუშავების

პროცესში, პროგრამის კომიტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის დეპარტამენტის მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი და დამუშავებული პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები. სილაბუსების გადამოწმება ევროპის უნივერსიტეტში და შესაბამისი ცვლილებების შეტანა, საჭიროების შემთხვევაში, რეგულარულად ხდება.

კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებისთვის გამოიყენება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სილაბუსის საერთო ფორმა. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი მოიცავს დეტალურ ინფორმაციას კურსის შესახებ: სასწავლო კურსი დასახელება; საგანმანათლებლო პროგრამა; ფაკულტეტი; სწავლების საფეხური; სწავლების სემესტრი; სასწავლო კურსის ლექტორ(ებ)ი; სასწავლო კურსის სტატუსი; სასწავლო კურსის მიზანი; კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება; დაშვების წინაპირობები; სასწავლო კურსის სწავლის შედეგები; სასწავლო კურსის შინაარსი; სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები; შეფასების სისტემა; შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები; ადმინისტრაციული შენიშვნები; სავალდებულო ლიტერატურა; დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა. აგრეთვე, თითოეულ სასწავლო კურსის სილაბუსში დეტალურად არის აღწერილი სასწავლო კურსის შინაარსი, კვირების და თემების ჩამოთვლით.

თითოეულ სასწავლო კურსში, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები ლოგიკურად არის დაბალანსებული, სასწავლო კურსის თემატიკის მიხედვით და შეესაბამება კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. ამავდროულად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსებში თემების შერჩევა და თანმიმდევრობა საჭიროებს დახვეწას, დეტალურად იხილეთ ქვევით. თითოეულ სასწავლო კურსით მინიჭებული კრედიტების რაოდენობა აგრეთვე შესაბამისობაშია კონკრეტული სასწავლო კურსის თემატიკა, შინაარსსა და სწავლის შედეგებთან. სასწავლო კურსები აგრეთვე ლოგიკურდაა ორგანიზებული მოცემული სასწავლო პროგრამას სემესტრების მიხედვით. სასწავლო კურსებში ჩამოყალიბებულია მოცემული კურსების სწავლის შედეგები და ისინი შესაბაისობაშია კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამასთან, სამართლის დარგობრივი მახასიათებლებისა და აკრედიტაციის სტანდარტების გათვალისწინებით. სასწავლო კურსის სილაბუსებში, მოცემული კურსის სწავლის შედეგების აღწერაში ჩამოწერილია ის სამი შედეგი (ცოდნა; უნდარი; და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა), რომლებსაც სტუდენტი მიიღებს შემოთავაზებული სასწავლო კურსის გავლის შემდეგ. სასწავლო კურსებში ჩამოთვლილი სწავლის შედეგები გაზომვადი და მიღწევადია.

სასწვლო კურსების სილაბუსებში მოყვანილი ლიტერატურა და მატერიალები შეესაბამება კონკრეტული სასწავლო კურსით დადგენილ სწავლის შედეგებს და შესაბამისად უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, შერჩევის წესით გადამოწმდა სასწვლო კურსების სილაბუსებში ჩამოთვლილი რამოდენიმე წიგნის ხელმისაწვდომობა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. შედეგად, ყველა გადამოწმებული წიგნი ხელმისაწვდომი იყო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

როგორც უკვე აღინიშნა, ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსებში თემების შერჩევა და თანმიმდევრობა საჭიროებს დახვეწას. მაგალითად:

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამაში ერთ-ერთ არჩვითი სასწავლო კურსია „შედარებითი სამოქალაქო პროცესი“. კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი მიზანია: შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა კერძო სამართლის სფეროში არსებული გამოწვევების, ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის, ქართული კერძო სამართლის განვითარებაზე ევროკავშირის სამართლის გავლენის შესახებ და შედარებითსამართლებრივი მეთოდოლოგიის დახმარებით გამოუმუშავოს ეროვნული კერძო სამართლის კანონმდებლობის ანალიზის, დახვეწისა და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; აღნიშნულ მიზანს სასწავლო კურსის „შედარებითი სამოქალაქო პროცესის“ შინაარსი მეტწილად შეესაბამება. თუმცა, სასწავლო კურსის თემათა დიდი ნაწილი მოიცავს ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს. სილაბუსში მოცემულია ისეთი თემები როგორიცაა: აშშ სასამართლო სისტემა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი სამოქალაქო დავებზე, ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო საპროცესო სამართლის არსი, წყარო და პრინციპები, მხარეები სამოქალაქო პროცესში (აშშ) და სხვა. საქართველოსა და აშშ-ს სამართალს სისტემებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებების გათვალისწინებით (იგულისხმება განსხვავება კონტინენტური ევროპის სამართლისა და ანგლო-ამერიკული სამართალის ოჯახებს შორის) ჩნდება კითხვა, თუ რა საჭიროება არსებობს ასეთი დიდი მოცულობით მიეწოდოს სტუდენტს ინფორმაცია აშშ-ს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესახებ. ინტერვიუს პროცესში, აღნიშნულ საკითხზე ექსპეტრთა ჯგუფის ეჭვები გარკვეულწილად გაიფანტა. საგნის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ თავისდროზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პროექტზე მუშაობისას გათვალისწინებულ იქნა არაერთი დებულება თუ პრინციპი აშშ-ის სამოქალაქო საპროცესო სამართლიდან. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მხოლოდ მიესალმება აშშ-ის სამოქალაქო პროცესის შესახებ თემების სწავლებას. თუმცა, ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით მიზანშეწონილი იქნებოდა სასწავლო კურსი აშშ-ის გერმანიისა და საფრანგეთის სამოქალაქო პროცესის თემების გარდა გამდიდრდეს სხვა ქვეყნების პრაქტიკის თემატიკითაც.

საგანმანათლებლო პროგრამა ასევე მოიცავს სასწავლო კურსს „სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდიკა - რელაცია. აღნიშნულ სასწავლო კურსში მიზანშეწონილი იქნებოდა დახვეწილი ყოფილიყო თემათა ლოგიკური ჯაჭვი. მაგალითად სასწავლო კურსში წარმოდგენილია შემდეგი თემები:

- მე-3 თემა: ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა. სასამართლო გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის მომზადება.
- მე-4 თემა: ფაქტების მითითების ტვირთი და მნიშვნელობა,
- მე-5 თემა: სარჩელის დასაშვებობისა და დასაბუთებულობის მოთხოვნები,
- მე-6 თემა: სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმის ინტერპრეტაცია და განმარტების ხერხები გადაწყვეტილების ფორმირებისას.
- მე-7 თემა: მოპასუხის შესაგებელი და შედავების სახეები.

- მე-9 თემა: მტკიცებულების მნიშვნელობა, შემოწმება და შეფასება.

სილაბუსში წარმოდგენილი თემები არ არის თანმიმდევრული. მაგალითად, მე-5 თემას (სარჩელის დასაშვებობისა და დასაბუთებულობის მოთხოვნები) წინ უსწრებს, მე-3 თემა (ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა. სასამართლო გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის მომზადება). ხოლო, მე-7 თემაა: მოპასუხის შესაგებელი და შედავების სახეები. არადა ამ დროისათვის უკვე გავლილია სასამართლო გადაწყვეტილების ცალკეული ნაწილების ჩამოყალიბების შესახებ თემები მაგ: თემა მე-3 და მე-6. ხოლო, მე-9 თემად კვლავ წარმოდგენილია ის თემა რომელიც აღწერილობით ნაწილის ფორმირებისას უკვე უნდა გჰქონდეს სტუდენტს ნასწავლი და გააზრებული (მე-9 თემაა: მტკიცებულების მნიშვნელობა, შემოწმება და შეფასება). ამგვარად სასწავლო კურსში: „სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდიკა - რელაცია“ არსებული თემები გადასახედია, რათა შენარჩუნებული იყოს თემათა ლოგიკური ჯაჭვი.

ასევე აღსანიშნავია სასწავლო კურსი „სამოქალაქო საპროცესო სამართალი (პრაქტიკუმი)“. აღნიშნულ სასწავლო კურსში მე-3 თემაა „მოსარჩელისა და მოპასუხის მიერ საპროცესო აქტიურობის ეფექტურობა. მხარეთა საპროცესო დაცვის საშუალებები (პრაქტიკული პრობლემები)“. ეს თემა ძალიან მოცულობითია და მოიცავ შემდეგ საკუთხებს:

- მოსარჩელის მიერ ფაქტების მითითების ვალდებულება; ფაქტების მითითებისა და ფაქტების დამტკიცების საპროცესოსამართლებრივი ვალდებულება სარჩელის მოთხოვნის მატერიალური საფუძვლის გათვალისწინებით
- სარჩელის მიღება; აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის პრობლემა;
- მოპასუხის შესაგებელი, მისი მნიშვნელობა; მოპასუხის შესაგებლის სახეები, არასრული შედავების სამართლებრივი შედეგები
- შეგებებული სარჩელი, როგორც პროცესუალური ინსტრუმენტი და მისი შესაგებელი

საკითხთა მოუცლობა ძალიან დიდია და ძნელადსავარაუდოა, რომ მათი განხილვა 2 საათიანი ლექციის ფორმატში მოესწრეოს. ამასთან მე-5 თემაა: „ მტკიცებულებების როლი და მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში, მტკიცებულებათა შეგროვებისა და შეფასების შესახებ პრობლემები სასამართლო პრაქტიკის მიხედვით“, რომელიც მეტწილად დაკავშირებულია სწორედ მე-3 თემასთან და უმჯობესი იქნებოდა ეს თემა წინ უძღვოდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სარჩელი და შესაგებლი, რამეთუ სარჩელის შედგენისას გასათვალისწინებელია როგორც ფაქტები, ისე მტკიცებულებები.

აღნიშნული სილაბუსის მე-6 თემაა: „მხარეთა როლი მოსამზადებელ და მთავარ სხდომებზე (პრაქტიკული პრობლემები)“. მე-7 თემაა: „საპროცესო უზრუნველყოფისა და სარჩელის უზრუნველყოფის პრობლემები (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი)“, ხოლო, შუალედური გამოცდის შემდეგ მე-10 კვირაში ამ თემებს მოსდევს ისეთი საკითხი როგორიცაა: „დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მასთან დაკავშირებული პრობლემები სამოქალაქო პროცესში სასამართლო პრაქტიკის მიხედვით“. მიზანშეწონილი იქნებოდა მომხდარიყო სასამართლო გადაწყვეტილების თემის განხილვად. თუმცა არსებული ფორმატით არ ხდება სასამართლო გადაწყვეტილების თემის

მოცვა და პირდაპირი გადასვლა დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს არჩევნითი საგანი ამ თემაზე, აღნიშნული სასწავლო კურსი მაინც უნდა მოიცავდეს ამ თემას, რადგან სტუდენმა შეიძლება ისე დაამთავროს სასწავლო პროგრამა, რომ ის არჩევითი კურსი არც აირჩიოს. აღნიშნულიდან გამომდინარე სილაბუსის თემები ამ შემთხვევაშიც გადასახედია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ცალკეული სასწავლო კურსების თემატიკის დაბალანსება (თემების შერჩევის საკითხში) და თემების თანმიმდევრობის უფრო ლოგიკურად გადანაწილება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება

ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ევროპის უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა, სამართლიანია, შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და ხელს უწყობს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების ან მობილობის საფუძველზე ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის No10/ნ ბრძანების შესაბამისად ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით („უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის No224/ნ ბრძანების საფუძველზე) დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნული წინაპირობების გარდა, პროგრამაზე სწავლის უფლების მოსაპოვებლად სავალდებულოა კანდიდატისათვის სპეციალობაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება და ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება მინიმუმ B2 დონეზე უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად.

სპეციალობაში შიდასაუნივერსტეტო გამოცდის საკითხები, რაც მოიცავს კერძო სამართალში ერთი კაზუსის ამოხსნასა და ერთი თემის დაწერას, და გამოსაცდელ პირთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (https://eu.edu.ge/ge) გამოცდის დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.

კანდიდატის მიერ ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება მინიმუმ B2 დონეზე ხორციელდება შიდასაუნივერსიტეტო ინგლისური ენის გამოცდის შედეგად ან ამგვარი გამოცდის გარეშე ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის

შემთხვევაში. კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამისა და უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 14 სექტემბრის No247 ბრძანებით დამტკიცებული ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის შესაბამისად, ამგვარ დოკუმენტად მიიჩნევა CEFR B2: IELTS exam – 5.5; BEC exam and CELS exam – Vantage; Cambridge exam – FCE; TOEIC – 785; TOEFL iBT – 72; TOEFL ITP – 543; EnglishScore – 400; ასევე, ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოში ან საზღვარგარეთ დასრულების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი.

საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების მიღება ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ 2020 წლის 20 მარტის #82 ბრძანებით დამტკიცებული (2020, 2021 და 2023 წლებში განხორციელებული ცვლილებებით) სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტთა კონტინგენტის განმსაზღვრელ ფაქტორებს, ამ ფაქტორების მიხედვით კონტინგენტის გამოთვლის მექანიზმსა და მის დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებს და ემსახურება საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას.

ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხვის, დაშვების წინაპირობების, პროგრამის მიზნებისა და შედეგების, პროგრამაში ჩართული პერსონალის შესახებ ასახულია პროგრამაში. ვინაიდან პროგრამა ახალია, წინამდებარე დასკვნის შედგენის მომენტისათვის, იგი არ არის განთავსებული უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, თუმცა, აკრედიტაციის შემთხვევაში პროგრამის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებისას იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის, რაც საშუალებას მისცემს მათ, მიიღონ ინფორმაცია არა მხოლოდ პროგრამაზე მიღების პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესახებ, არამედ შეუქმნან კონკრეტული წარმოდგენა და მოლოდინი პროგრამის არსსა და სწავლის შედეგებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა
- უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 14 სექტემბრის No247 ბრძანებით დამტკიცებული ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა, სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კომპონენტებისა და ექსტრაკურიკულური აქტივობების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას, რაც, საბოლოო ჯამში, ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას.

სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას ემსახურება კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო კურსები, ასევე, სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტი, სასწავლო კურსის ფარგლებში იმგვარი აქტივობების გამოყენება, რომლებიც ორიენტირებულია სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების განვითარება-განმტკიცებაზე.

სასწავლო კურსების ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებაზე ორიენტირებული სავალდებულო სასწავლო პრაქტიკული კომპონენტია იურიდიული პრაქტიკა (კლინიკა), რომელიც სავალდებულოა სწავლების I-II სემესტრის ფარგლებში, ჯამში ეთმობა 15 კრედიტი და ითვალისწინებს უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე შესაბამის პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის მიერ 284 საათის გატარებას. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სავალდებულო პრაქტიკული კომპონენტი ერთგვარად ახორციელებს შეჯამებას იმის შესაფასებლად, თუ რამდენად გამოიყენებს სტუდენტი სასწავლო მოდულების ფარგლებში - სწავლების სხვადასხვა ეტაპზე მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში და, საბოლოო ჯამში, ემსახურება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ამგვარი კურსი, ასევე, მისცემს შესაძლებლობას სტუდენტებს, დაინტერესების შემთხვევაში და, მათი ინტერესების შესაბამისად, გამოსცადონ საკუთარი შესაძლებლობები პროფესიულ გარემოში, რაც პრაქტიკული უნარების განვითარებასთან ერთად, მათ პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის განმტკიცებას შეუწყობს ხელს, ამასთანავე, შეუქმნით გარკვეულ შესაძლებლობას, პრაქტიკის ობიექტის დამსაქმებელთან დასაქმების პერსპექტივაში.

სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკის შესაბამისად უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან. მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების

რაოდენობას, პრაქტიკის მიზანს, შედეგს და ხანგრძლივობას და, ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. იურიდიული პრაქტიკის (კლინიკა) გავლასა და შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება შესაბამისი სილაბუსის საფუძველზე, ამასთან, უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შესრულებასა და შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციები მოცემულია უნივერსიტეტში მოქმედი, უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 27 ოქტომბრის #309 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების და შეფასების წესის შესაბამისად.

სტუდენტების პრაქტიკური უნარების განვითარების მსგავსად, სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებას ემსახურება კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში არსებული სასწავლო კურსები, რომელთა ფარგლებშიც ხორციელდება კვლევითი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები. 6 კრედითი განსაზღვრული სასწავლო კურსის „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“, რომელიც სავალდებულო კომპონენტის სახით ისწავლება II სემესტრში, მიზანია სტუდენტების მომზადება სამეცნიერო კვლევის სათანადოდ განხორციელებასა და სამაგისტრო ნაშრომის შექმნასთან დაკავშირებით. მომზადება მოიცავს როგორც თეორიულ ელემენტს (სამაგისტრო ნაშრომისთვის საჭირო მეთოდებისა და პრინციპების შესახებ სტუდენტის ინფორმირებას), ასევე იმ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასაც, რაც აუცილებელია სამაგისტრო ნაშრომის შექმნისათვის.

პრაქტიკის გავლის პერიოდში ან/და კვლევითი საქმიანობის განხორციელებისას სტუდენტის ხელმძღვანელობას ახორციელებს შესაბამისი სფეროს კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას.

სწავლების დასასრულს IV სემესტრში, სავალდებულო კომპონენტის სახით გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის შესრულება, რომლის წინაპირობად განსაზღვრულია I-III სემესტრის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი და, რომელიც, სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სავალდებულო სასწავლო კომპონენტია. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასა და შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციები მოცემულია შესაბამის სილაბუსსა და უნივერსიტეტში მოქმედი უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 13 მარტის No61 ბრძანებით დამტკიცებული სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესის შესაბამისად.

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ახალია და, ბუნებრივია, ამ ეტაპზე არ არსებობს უშუალოდ პროგრამის ფარგლებში კურიკულუმის გარე აქტივობასთან დაკავშირებული ღონისძიებების დამადასტურებელი მტკიცებულებები, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია სტუდენტურ კონფერენციებთან დაკავშირებით ადასტურებს უნივერსიტეტის მიერ ამგვარი გარე აქტივობების განხორციელებასა და ხელშეწყობას, რაც, ემსახურება სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების და შეფასების წესი
- უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი
- მემორანდუმები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კერძო სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებელი სწავლების მეთოდები და აქტივობები შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის საფეხურს და სასწავლო კურსის შინაარსს, უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსითა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

აღნიშვნის ღირსია პროგრამის დანართი 3-ის სახით წარმოდგენილი სწავლებისა და სწავლის მეთოდების/აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა, რომელიც ახდენს პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის კონკრეტიზებას, კერძოდ, აღწერს სწავლება-სწავლის მეთოდებსა და აქტივობებს და განსაზღვრავს თითოეული ამ მეთოდისა და აქტივობის მიმართებას პროგრამით დასახულ შესაბამის

სწავლის შედეგის მიღწევის უზრუნველყოფასთან და ამასთანავე, ადგენს შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევის ხარისხს (L-დაბალი, M-საშუალო, H-მაღალი).

სასწავლო კურსების სილაბუსები კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ასახავს კურსის მიზანს, მისაღწევ შედეგებს და მიზნების მიღწევის მეთოდიკას. სასწავლო პროცესში სასწავლო კურსით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევა ხდება ისეთი მეთოდებით, როგორიცაა, ლექცია და პრაქტიკული მუშაობა. სასწავლო კურსების სილაბუსებში გხვდება ისეთი აქტივობები, როგორიცაა ვერბალური ახსნა-განმარტება, ინტერაქტიული მუშაობა, წიგნზე მუშაობა და წერითი მუშაობა, გუნდური მუშაობა, დემონსტრირება, დისკუსია-დებატები, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში, შემთხვევის ანალიზი/კაზუსის ამოხსნა, როლური და სიტუაციური თამაში, პრეზენტაცია და სხვა.

სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული სწავლის მეთოდები და აქტივობები შესაბამისობაშია სასწავლო კურსის შინაარსსა და სპეციფიკასთან. ამასთან, სასწავლო კურსებში განსაზღვრული მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და საკომუნიკაციო უნარების განვითარებას, მაგალითად, პრაქტიკული უნარების განვითარებას ემსახურება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი/კაზუსის ამოხსნა, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, როლური და სიტუაციური თამაში, კვლევითი უნარების განვითარებას კი - წიგნზე მუშაობა და წერითი მუშაობა, ანალიზი. გუნდური მუშაობა, პრეზენტაცია, დისკუსია, დებატები სხვა უნარების განვითარებასთან ერთად ხელს უწყობს სტუდენტების საკომუნიკაციო უნარების განვითარებასაც.

უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 მარტის No89 ბრძანებით დამტკიცებული, უნივერსიტეტში მოქმედი „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“ განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სახეებს, შემუშავების საფუძვლებსა და პროცედურებს. შესაბამისად, გათვალისწინებულია, საჭიროების შემთხვევაში სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად პროგრამის ფარლგებში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესაძლებლობა და მისი განხორციელების შესაბამისი წესი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული რეგულაციების მიხედვით კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამაში ასახულია სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმი. რომელიც ეფუძნება, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N-3 ბრძანებით დამტკიცებულ ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებით განგარიშების წესს“.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, რომელიც მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. დასკვნითი გამოცდის ხვედრითი წილი განისაზღვრება ინდივიდუალურად კურსის სილაბუსით, რომელსაც აკადემიური თავისუფლების ფარგლებში განსაზღვრავს კურსის ხელმძღვანელი. პროგრამა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას და ორი სახის უარყოფით შეფასებას.

შეფასების სისტემა ხუთი კომპონენტისგან შედგება:

ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91 - 100;

ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90;

გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70;

ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60.

(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს იმას რომ სტუდენტს გამოცდის ჩასაბარებლად მეტი მუშაობა ჭირდება და ეძლევა დამატებით გამოცდაზე მხოლოდ ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც მანიშნებელია იმის რომ სტუდენტმა ვერ დაძლია სასწავლო კურსი და მას კურსი ხელმეორედ აქვს გასავლელი.

სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს დამატებითი გამოცდის უფლებით მაშინ როცა აქვს დაგროვებული მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ არ აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადალახული საგანში. დამატებითი გამოცდა ენიშნება სტუდენტს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

შუალედური და დასკვნითი შეფასების მეთოდებს, შინაარს და ქულის ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში. დასკვნითი გამოცდის წერის უფლებით სარგებლობს მხოლოდ ის სტუდენტი რომელსაც გადალახული აქვს შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი გამოცდა სტუდენტს ჩაბარებულად ეთვლება მხოლოდ მაშინ როცა გადალახული აქვს დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შუალედური შეფასებისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვრად განსაზღვრულია 50%, ხოლო ფინალური გამოცდის მინიმალურ ზღვრად განსაზღვრულია 50% + 1 ქულა. სტუდენტს კრედიტი მინიჭებულად ჩაეთვლება თუკი შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვრების გადალახვის საფუძველზე სტუდენტს უგროვდება 51 ქულა ან მეტი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის სწავლების ფარგლებში გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებები. აღნიშნული ხელს უწყობს როგორც სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას ისე სწავლის ხარისხის გაკონტროლებას.

კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში იურიდიული პრაქტიკის შეფასება ხორციელდება სპეციალური წესით რომელიც დამტკიცებული აქვს უნივერსიტეტის რექტორს. სწავლება ხორციელდება იურიდიული კლინიკის სილაბუსის ფარგლებში რომელსაც ჰყავს ხელმძღვანელი და მენტორი. პრაქტიკის კომპონენტის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, შუალედურ შეფასებას ახდენს პრაქტიკის ხელმძღვანელი და მენტორი, ხოლო დასკვნითი შეფასება მინდობილია მთლიანად კომისიაზე სადაც სტუდენტი ახდენს სემესტრის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოს პრეზენტაციას.

სამაგისტრო ნაშრომის ფასდება ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებული ,,სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების წესით“ დადგენილი ზოგადი მოთხოვნებისა და სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაცვით. სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ფარგლებში ფასდება ერთიანად, დასკვნითი შეფასებით. შეფასებას ახდენს რექტორის ბრძანებით შექმნილი სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია. კომისიის შემადგენლობაში შედის გარე შემფასებელიც, რომელიც კიდევ უფრო მეტ ობიექტურობას სძენს კომისიას. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა არის საჯარო და დაცვაზე დასწრება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია ყველა ის დოკუმენტი სადაც ზედმიწემით გაწერილაი სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი, რომლითაც ხელმძღვანელობენ მაგისტრანტები. ევროპის უნივერსიტეტში დაცულია აკადემიური

კეთილსინდისიერების საკითხი, სტუდენტის მიერ შემუშავებული სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატის დადგენის სისტემაში.

ევროპის უნივერსიტეტში არსებობს შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის და საჭიროებისამებრ დადგენილი პროცედურის დაცვით. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ შეფასების გასაჩივრების მეთოდის სიმარტივის მიუხედავად, ხშირ შემთხვევაში არ მიმართავენ გასაჩივრებას, ვინაიდან და რადგანაც ლექტორი საჭიროებისამებრ ინდივიდუალურად განიხილავს სტუდენტთან მიღებულ შეფასებას.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და შეფასების მარეგულირებელი წესის მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობა უნდა იყოს არანაკლებ 3 და არაუმეტეს 7 წევრისა. მათ შორის სამეცნიერო კომისიების მუშაობის პროცესში არ მონაწილეობენ მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და ნაშრომის რეცენზენტი. ამავე წესის მიხედვით, კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის საერთო შემადგენლობის 2/3. ექსპერტთა ჯგუფი აცნობიერებს, რომ მაგისტრანტს განმავითარებელი შეფასების თვალსაზრისით ამოწმებს რეცენზენტი და სამეცნიერო ხელმძღვანელი, მაგრამ მოქმედი წესის მიხედვით, თეორიულად სრულიად შესაძლებელია, რომ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიაში იყოს სულ 3 წევრი და თუ მას 2 წევრი ესწრება, სამაგისტრო ნაშრომის დაცვა შედგეს. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის ხედვით, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შეფასება ორი წევრის მიერ ვერ ჩაითვლება კარგ პრაქტიკად, ამიტომ, სასურველია ჩანაწერი "სულ მცირე სამი" შეიცვალოს "სულ მცირე ხუთით".

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები
- ევროპის უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი
- ევროპის უნივერსიტეტის საგანამანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების წესი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტმა შეცვალოს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე 3 წევრისგან და გაზარდოს ის 5-მდე, რადგან კომისია უფლებამოსულია თუ მას ესწრება საერთო შემადგენლობის 2/3 მაინც.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ევროპის უნივერსიტეტის მიერ კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, სხვა დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ ევროპის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას, და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან და განხორციელებასთან დაკავშირებით სტუდენტების კონსულტირებას ახორციელებენ ფაკულტეტის თანამშრომლები, დეკანი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ნებისმიერ დროს მიმართონ და მიიღონ კვალიფიციური კონსულტაცია სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. სწრაფი და მარტივი

კომუნიკაციისთვის დაწესებულებაში მოქმედებს სპეციალური ელექტრონული სისტემა ,,https://eunsis.eun.edu.ge/“ სადაც სემესტრულად სტუდენტები გადიან აკადემიურ რეგისტრაციას. ამავე პლატფორმის მეშვეობით სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ თვალყური ადევნონ სემესტრის განმავლობაში მიღებულ შეფასებებს. აგრეთვე სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ყოველკვირეული დამატებითი საკონსულტაციო საათით. საკონსულტაციო საათი მოწვეულ და აკადემიურ პერსონალს სემესტრის დასაწყისშივე სილაბუსებში აქვთ განსაზღვრული და ამის შესახებ სტუდენტების ინფორმირებას პირველივე ლექციაზე ახდენენ.

ევროპის უნივერსიტეტში 2018-2019 წლებიდან ფუნქციონირებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი. ცენტრს აქვს ცალკე დამოუკიდებელი ბიუჯეტი რომელიც დაფუძნებულია მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ აქტივობებს. ცენტრის მთავარ მიზანს წარმოადგენს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმება, რაც მათი კარიერული განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად შეგვიძლია აღვიქვათ. ცენტრი ფუნქციონირებს შემდეგი ძირითადი მიმართულებით: ხელს უწყობს სტუდენტების უნივერსიტეტში ადაპტაციას, უზრუნველყოფს მრავალფეროვან სტუდენტურ ცხოვრებას, ახორციელებს სტუდენტების კარიერულ მხარდაჭერას, ურთიერთობს პოტენციურ დამსაქმებლებთან. ცენტრის ეგიდით დაწესებულებაში შექმნილია კურსდამთავრებულთა ერთიანი ,,ელ-ფოსტის“ ბაზა და დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამოყენებით დაწესებულება მუდმივ კავშირზეა კურსდამთავრებულებთან.

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტების შესახებ ინფორმაცია მიიღონ უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერისგან, ხარისხის სამსახურის დეპარტამენტისაგან. ინტერვიურების შედეგად გამოირკვა, რომ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალიც ჩართულია კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა კარიერულ განვითარებაში. პერსონალის ჩართულობა გამოიხატება სტუდენტთა ჩართვაში სტაჟირების პროექტებში, რეკომენდაციის გაწევაში დასაქმებისა თუ საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებისათვის. პერსონალი აგრეთვე უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართვას ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში, საგრანტო პროექტებში და კონკურსებში.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე, პარტნიორ უნივერსიტეტებთან აქტივობის სახით ხშირად იმართება ერთობლივი საჯარო ლექციები, ვებინარები. აგრეთვე ევროპის უნივერსიტეტს ერასმუს+ პროგრამის ფარგლებში ხშირად სტუმრობენ პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორები, რომლებიც სტუდენტებს სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე ლექციებს უტარებენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

- სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები
- ევროპის უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი
- ევროპის უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამდააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☒	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ევროპის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობით და ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ ევროპის უნივერსიტეტის მოწვეული თუ აკადემიური პერსონალი მაღალკვალიფიციურია.

ევროპის უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დანიშვნას დეკანის წარდგინებით ახდენს ფაკულტეტის საბჭო. მაგისტრანტი ხელმძღვანელს არჩევს ჩასატარებელი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე. სამაგისტრო ნაშრომის სათაურის შერჩევა ხდება სტუდენტის მიერ, რომელიც შემდგომ სათაურს უთანხმებს ხელმძღვანელს. შერჩეული სამაგისტრო ნაშრომის სათაურს პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი კვირის განმავლობაში. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს გარკვეული ვალდებულებები აკისრია, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ხელმძღვანელი

ვალდებულია სტუდენტს გააცნოს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების სილაბუსი, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი, ციტირების და ზოგადი აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტები და მიუთითოს მათი დარღვევით გამოწვეულ შედეგებზე.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი წერის პროცესში აკონტროლებს სტუდენტის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხი, ასევე ზედმიწევნით უთითებს სტუდენტს დაწესებულებაში არსებულ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესზე.

სტუდენტის მიერ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატის ამომცნობ სისტემაში "https://www.turnitin.com/" სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ითვალისწინებს დასკვნის წერისას ნაშრომის შემოწმებულ ვერსიას და საჭიროებისამებრ ერთხელ უბრუნებს სტუდენტს რეკომენდაციებით.

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძრვანელის კვოტა, რომლის შევსების შემდეგ ხელმძრვანელს არაქვს უფლება იმაზე მეტი მაგისტრანს უხელმზრვანელოს ვიდრე ეს შინაგანაწესით არის განსაზღვრული. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძრვანელები სემესტრის დასაწყისში/დასასრულში ფასდებიან სტუდენტების მიერ, შეფასება ხორციელდება სპეციალური კითხვარის სასუალებით სადაც სტუდენტებს მკაფიოდ აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა აქვთ, შეფასება არის ანანიმური და ვარასავალდებულო.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა, რომელიც ხელმძღვანელობს სამაგისტრო ნაშრომებს აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას რაც დაწესებული აქვს უნივერსიტეტს.

ექსპერტთა ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუები მიმდინარეობდა როგორც აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, ისე მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ამ თვალსაზრისით, ექსპერტთა ჯგუფის ხედვით, როგორც გამოკითხულ სტუდენტებში, ისე კურსდამთავრებულებში აკადემიური წერისა და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტებთან დაკავშირებული საკითხებისადმი ცნობიერება დაბალია. სწორედ ამიტომ, სასურველია ევროპის უნივერსიტეტმა ამ თვალსაზრისით, არსებული ძალისხმევა გააძლიეროს და მეტი აქტივობა დაგეგმოს. მოცემულ რჩევას ამყარებს ის გარემოებაც, რომ მომიჯნავე პროგრამების სამაგისტრო ნაშრომებიდან რამდენიმეში დაცული არ იყო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციით განსაზღვრული აკადემიური წერის სტილი.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	13
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	**20**

თანაფარდობა	1:1.5

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები
- ევროპის უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი
- ევროპის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების წესი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტმა დაგეგმოს კონკრეტული აქტივობები, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ მკაფიო წარმოდგენა უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური წერის სტილისა და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტებთან დაკავშირებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და

განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - უსდ) კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის (შემდგომში - სამაგისტრო პროგრამა) განხორციელებაში ჩართულია როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი.

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა არის 10. აქედან 5 პროფესორია (მათ შორის 3 აფილირებული) და 5 - ასოცირებული პროფესორი (მათ შორის 1 აფილირებული).

პროგრამაში ასევე ჩართულია 3 მოწვეული ლექტორი. ამდენად, სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა შეადგენს 13-ს.

აღნიშნული მონაცემები სამაგისტრო სწავლების საფეხურისათვის კარგ მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს. შესაბამისად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ოდენობა საკმარისია პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, რამეთუ აკადემიური პერსონალის რაოდენობა დაახლოებით სამჯერ აღემატება მოწვეული პერსონალის რაოდენობას.

აკრედიტაციის მოქმედი სტანდარტების შესაბამისად, პროგრამას უნდა გააჩნდეს აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე (აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა ყველა იმ უსდ-ში, სადაც ის არის დასაქმებული). საკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, უსდ-ს წარმოდგენილი

აქვს პერსონალის დატვირთვის სქემა. ამგვარად, აკრედიტაციის სტანდარტის აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილებულად უნდა ჩაითვალოს.

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამას ჯერ არ ჰყავს მაგისტრანტები. თუმცა, უსდ-ის განმარტების შესაბამისად იგეგმება პროგრამაზე 20 მაგისტრანტის მიღება. როგორც აღინიშნა, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა არის 13. უსდ-ის განმარტებით, სწორედ ეს პირები უხელმძღვანელებენ მაგისტრანტებს. ინტერვიუს პროცესისა და დატვირთვის სქემის ანალიზის საფუძვლეზე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მაგისტრანტების რაოდენობა შესაბამისი იქნება მათი ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვასთან.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვეა, რომ ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს რექტორის 2020 წლის 20 მარტის №84 ბრძანებით დამტკიცებული „აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის მინიმალური რაოდენობა გამოითვლება პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებში ჩასატარებელი საათებისა და პროგრამაზე აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ, საგანმანთლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებში ჩასატარებელი საათების (რაც განისაზღვრება პროგრამის სასწავლო გეგმით დადგენილი საათებისა და სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით) მინიმუმ 51%-ს სავალდებულოა კითხულობდეს აკადემიური პერსონალი. უსდ-ის განმარტებით, აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილებულია კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებშიც (პროგრამაზე სტუდენტთა დაგეგმილი მისაღები რაოდენობის გათვალისწინებით), რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად განხორციელებას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევა ხორციელდება ევროპის უნივერსიტეტის „პერსონალის შერჩევის წესის“ (დამტკიცებულია ევროპის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №86 ბრძანებით) მიხედვით. ასევე, უნივერსიტეტში თითოეულ თანამდებობას განსაზღვრული აქვს სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რის მიხედვითაც ხდება მათი დაქირავება. პერსონალის შერჩევის წესი განსაზღვრავს დაქირავების პროცედურებს, სამუშაო აღწერილობები კი საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

უსდ-ის განმარტებით კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ფაკულტეტის გადაწყვეტილებით განხორციელდა 3 აკადემიური კონკურსი, რომლის ფარგლებშიც ხელშეკრულება გაფორმდა 2 პროფესორთან და 5 ასოცირებულ პროფესორთან (რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება №127871, 9 სექტემბერი, 2022 წელი; რექტორის ბრძანება №5096, 17 თებერვალი, 2023 წელი; რექტორის ბრძანება №18952, 28 მაისი, 2024 წელი), ასევე, თანამშრომლობის გაფორმება მოხდა 2 ახალ მოწვეულ პერსონალთან. უსდ-მ განმარტა, რომ საჭირო იყო გარკვეულ შემთხვევებში პერსონალის მოძიება და დაქირავება, თუმცა ასევე მოხდა უნივერსიტეტის შიდა რესურსის, სხვა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული

პერსონალის გამოყენებაც შესაბამისი კვალიფიკაციის დადასტურების საფუძველზე. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი გამოირჩევა საგანამათლებლო სფეროში მრავალწლიანი გამოცდილებით და პრაქტიკული მუშაობის მდიდარი გამოცდილებით. აღნიშნული ინფორმაციის გარდა უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ უსდ აწარმოებს აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დენადობის ინტენსიურობის ანალიზს. აღსანიშნავია ისიც, რომ უსდ პროგრამის საჭიროებს, მისი მდგრადობის უზრუნველსაყოფად, ქმედითი ღონისძიებებით პასუხობს, რასაც ადასტურებს ჩატარებული კონკურსები. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დენადობის ინტენსიურობის მაჩვენებელი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. უსდ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მაჩვენებლების, მათ შორის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალის დენადობის მაჩვენებლების შესწავლას, ანალიზს და შედეგებს იყენებს პროგრამის მდგრადობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

სასწავლო კურსების სილაბუსებით და ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ გათვალისწინებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართვა სტუდენტების კონსულტირებისა და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

უსდ-ის აკადემიური პერსონალი უხვადაა დაკომპლექტებული დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირებით. აკადემიური პერსონალის ზოგიერთ წარმომადგენელს არ აქვს დოქტორის ხარისხი, თუმცა, ისინი წარმოადგენენ მაღალკვალიფიციურ პრაქტიკოს იურისტებს, შესაბამისად, მათი აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა მისაღები და მისასალმებელია. უსდ-ის მოწვეული პერსონალი დაკომპლექტებულია დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირებითა და მაგისტრის ხარისხის მქონე პრაქტიკოსი იურისტებით. უსდ-ის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი შეძლებს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

აკადემიურ პერსონალს აკადემიური თანამდებობები დაკავებული აქვთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - კონკურსის წესით. მოწვეული სპეციალისტების პროგრამაში ჩართვაც ხორციელდება კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად.

უსდ-ის აკადემიური პერსონალი სამეცნიერო კვლევების მიმართულებით აქტიურია. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, მათ გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები და მიღებული აქვთ მონაწილეობა სამეცნიერო ღონისძიებებში. ამ მიმართულებით, გადამოწმდა უსდ-ის მიერ წარმოდგენილი პერსონალის პირადი საქმეები და ავტობიოგრაფიები.

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ მოწვეულ პერსონალს აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია.

სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს აქვს კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება, რათა გაუძღვეს დასახული მიზნებისა და შედეგების განხორციელებას. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებაში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალიც. დადასტურებულია ადმინისტრაციული პერსონალის კომპენტენტურობაც.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**10**	**10**	**8**	**4**
- პროფესორი	5	5	5	3
- ასოცირებული პროფესორი	5	5	3	1
- ასისტენტ-პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	3	3	2	_
სამეცნიერო პერსონალი	_			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- პერსონალის ჩამონათვალი
- პერსონალის პირადი საქმეები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი
[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა შესაბამისი გამოცდილების მქონე პერსონალით. უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 13 მარტის №61 ბრძანებით დამტკიცებულია „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი“ (შემდგომში - „წესი“). წორედ აღნიშნული „წესითაა“ განსაზღვრული სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

აღნიშნული „წესის“ მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს მაგისტრანტის მუშაობას, ეხმარება მას კვლევის პროექტის შემუშავებაში, წყაროების შერჩევაში, საკვლევი პრობლემის ჩამოყალიბებაში, საკვლევი შეკითხვებისა და ჰიპოთეზების ფორმირებაში, აძლევს ზოგად მითითებებს დარგის აქტუალური გამოწვევებისა და შესაბამისი მიმართულებით კვლევის განხორციელების თაობაზე. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი წერს დასკვნას ნაშრომის შესრულების შესახებ და განსაზღვრავს შესრულებული ნაშრომის რეცენზენტისთვის შესაფასებლად გადაცემის საკითხს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მაგისტრანტს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულებისთვის შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილი კი განსაზღვრავს, რომ სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს: ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის სფეროში დოქტორის აკადემიური ხარისხი. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ცალკეული პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელად შეიძლება დაშვებულ იქნეს განსაკუთრებული პრაქტიკული გამოცდილების და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის გამოცდილება. იმ შემთხვევაში, თუ სამაგისტრო ნაშრომი ითვალისწინებს პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას, ნაშრომის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს უნდა ჰქონდეს

პედაგოგიური მუშაობის მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება და ფლობდეს უფროსი მასწავლებლის სტატუსს.

უნივერსიტეტის ხელშეწყობით აკადემიური პერსონალის განვითარება მუდმივად ხორციელდება. აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში, აქვთ შესაძლებლობა აქტიურად იყვნენ ჩართულები სამეცნიერო კვლევით საქმიანობებში.

უნივერსიტეტში რეგულარულად ხორციელდება პროგრამის განხორციელების ფარგლებში აკადემიური პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით მონიტორინგი. ლექტორებს სტუდენტები აფასებენ ელექტრონული გამოკითხვის მეშვეობით, სემესტრში ერთხელ. გამოკითხვის შედეგები მუშავდება და ხარისხის სამსახურის მიერ გაიცემა შესაბამისი რეკომენდაციები პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა საგანამანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეები. უსდ-ის განმარტებით ძირითადად სწორედ უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი უხელმძღვანელებს სამაგისტრო ნაშრომებს. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პერსონალი დაკომპლექტებული მაღალკვალიფიციური კადრებით, რომელებსაც აქვთ კვლევები შესაბამისი მიმართულებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპის უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამას ეყოლება კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**13**	**13**	**4**
- პროფესორი	5	5	3
- ასოცირებული პროფესორი	5	5	1
- ასისტენტ-პროფესორი	0	0	0
მოწვეული პერსონალი	3	3	_
სამეცნიერო პერსონალი	_	_	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითსეფასების ანგარიში
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი

- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☒	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წინამდებარე აკრედიტაციის სტანდარტის კონკრეტული კომპონენტის ფარგლებში, უპირველესად შესაფასებელია რეგულარულად აწარმოებს თუ არა უსდ პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.

ასევე, საჭიროა განხილულ იქნეს უსდ-ს როლი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაში, ასევე, მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობაში. კერძოდ, მნიშვნელოვანია შეფასდეს:

• ხორციელდება თუ არა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები;

• შექმნილია თუ არა უსდ-ში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად აუცილებელი პირობები (მატერიალური, ფინანსური რესურსები და სხვა).

• მონაწილეობს თუ არა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში.

უსდ-ში მოქმედებს რექტორის 2020 წლის 20 მარტის #83 ბრძანებით დამტკიცებული „ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი“ (შემდგომში - „წესი“). აღნიშნული შიდასამართლებრივი აქტი არეგულირებს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების, სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის, ასევე, მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების და აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცედურებსა და კრიტერიუმებს.

აღნიშნული „წესის“ მე-2 მუხლით განსაზღვრულია შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები.

პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, სხვა სტრუქტურული ერთეულების მხარდაჭერით, წინამდებარე წესში განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

აკადემიური პერსონალის შეფასება მოიცავს:

ა) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიურ შეფასებას შესაბამისი ანგარიშის გამოყენებით („წესს“ თან ახლავს დანართი №1 - აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიში);

ბ) პროფესიული განვითარების წლიურ შეფასებას შეფასების შესაბამისი ანგარიშის გამოყენებით („წესს“ თან ახლავს დანართი №2 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების წლიური ანგარიში);

გ) აკადემიური საქმიანობის სემესტრულ შეფასებას სხვადასხვა მხარის მიერ შესაბამისი კითხვარების გამოყენებით („წესს“ თან ახლავს დანართი №3 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება დეკანის მიერ, დანართი №4 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, დანართი №5 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ, დანართი №6 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება საგამოცდო ცენტრის მიერ, დანართი №7 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება სტუდენტის მიერ).

აღნიშნული „წესითვეა“ განსაზღვრული მოწვეული პერსონალის შეფასება, რომელიც მოიცავს:

ა) პროფესიული განვითარების წლიურ შეფასებას შეფასების შესაბამისი ანგარიშის გამოყენებით („წესს“ თან ახლავს დანართი №2 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების წლიური ანგარიში);

ბ) აკადემიური საქმიანობის სემესტრულ შეფასებას სხვადასხვა მხარის მიერ შესაბამისი კითხვარების გამოყენებით („წესს“ თან ახლავს დანართი №3 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება დეკანის მიერ, დანართი №4 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, დანართი №5 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ, დანართი №6 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება

საგამოცდო ცენტრის მიერ, დანართი №7 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება სტუდენტის მიერ).

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიზნით განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალის მიმართ დადგენილია მოთხოვნები:

- აფილირებული პროფესორი ვალდებულია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით ყოველწლიურად დააგროვოს მინიმუმ 50 ქულა,
- პროფესორი - მინიმუმ 30 ქულა,
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი - მინიმუმ 40 ქულა,
- ასოცირებული პროფესორი - მინიმუმ 25 ქულა,
- აფილირებული ასისტენტ-პროფესორი - მინიმუმ 30 ქულა,
- ასისტენ-პროფესორი - მინიმუმ 20 ქულა,
- აფილირებული ასისტენტი - მინიმუმ 20 ქულა,
- ასისტენტი - მინიმუმ 10 ქულა.

აღნიშნული „წესითვეა“ განსაზღვრული ქულების მინიჭების მეთოდოლოგია.

აკადემიური პერსონალი ვალდებულია განახორციელოს ამ წესით განსაზღვრული სამეცნიერო აქტივობები და ყოველწლიურად დააგროვოს მისთვის განსაზღვრული მინიმალური ქულათა რაოდენობა. აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო წლის ბოლოს წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშს აფასებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი და ადასტურებს აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებულ სამეცნიერო აქტივობებს. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი შეფასების შედეგებს აწვდის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დადასტურებული შედეგების წლიური შეფასების პროცესში გამოყენებისა და საბოლოო შეფასების შედეგებში გათვალისწინების მიზნით.

ამავე „წესის“ მე-3 მუხლითაა განსაზღვრული შეფასების შედეგებზე რეაგირება. აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებით დადგენილი მინიმალური მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში, აფილირებულ აკადემიურ პერსონალს ეძლევა შესაბამისი ანაზღაურება:

- აფილირებულ პროფესორს - 3000 ლარის ოდენობით,
- აფილირებულ ასოცირებულ პროფესორს - 2500 ლარის ოდენობით,
- აფილირებულ ასისტენტ-პროფესორს - 2000 ლარის ოდენობით,
- აფილირებულ ასისტენტს - 1500 ლარის ოდენობით

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი და აკადემიური საქმიანობის წლიური შეფასების შედეგების რანჟირების საფუძველზე, თითოეულ ფაკულტეტზე სამი საუკეთესო შედეგის მქონე აკადემიურ პერსონალს, წახალისების მიზნით, გადაეცემა ფულადი ჯილდო (I ადგილი - 1500 ლარი, II ადგილი - 1000 ლარი, III ადგილი - 500 ლარი).

მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის წლიური შეფასების შედეგების რანჟირების საფუძველზე თითოეულ ფაკულტეტზე სამი საუკეთესო შედეგის მქონე მოწვეულ პერსონალს,

წახალისების მიზნით, გადაეცემა ფულადი ჯილდო (I ადგილი - 1000 ლარი, II - ადგილი - 700 ლარი, III ადგილი - 400 ლარი).

უსდ-ის განმარტებით, დადგენილი რეგულაციები პრაქტიკაშიც ხორციელდება. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების საფუძველზე ყოველწლიურად გაიცემა აფილირების ანაზღაურება. შეფასება განხორციელდა შესაბამისად 2022-2023 აკადემიურ წელსაც და აფილირების ანაზრაურების თანხამ 2022-2023 აკადემიური წლისთვის უნივერსიტეტის მასშტაბით შეადგინა 85 450 ლარი, ხოლო სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე შეადგინა 31 450 ლარი.

უსდ-ის მხრიდან პერსონალის შეფასების ფაქტი დადასტურდა ინტერვიუს პროცესშიც. კერძოდ, უნივესიტეტის ადმინისტრაციამ, ხარისხის სამსახურმა, აკადემიურმა პერსონალმა და მოწვეულმა პერსონალმა დაადასტურა, რომ პერსონალის შეფასება რეალურად ხორციელდება, ხოლო შედეგები ჯამდება და ხდება მათი ანალიზი.

მისასალმებელია, რომ უსდ კრებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო აქტივობების შესახებ ინფორმაციას, დამადასტურებელ დოკუმენტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უსდ აწარმოებს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით აქტივობებზე დაკვირვებასა და შედეგების ანალიზს.

აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტი რეგულარულად ატარებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს (ტრენინგებს, ვორქშოპებს, საინფორმციო შეხვედრებს) პერსონალისათვის. წარმოდგენილი დოკუმენტაციის დასტურდება, რომ უნივერსიტეტმა ბოლო წლებში განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- განხორციელდა აკადემიური/მოწვეული პერსონალის ონლაინ გამოკითხვა, რომელიც მიზნად ისახავდა პერსონალის საჭიროებების გამოვლენას;
- გაიმართა მეორე საერთაშორისო კონფერენცია „განათლება, ტექნოლოგიები და ინოვაცია";
- ჩატარდა სემინარი თემაზე „ინფორმაციის მართვა სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობის დროს“;
- ჩატარდა ონლაინ ტრენინგი „საგრანტო განაცხადის მომზადება და ფონდების მოძიება“;
- ჩატარდა საინფორმაციო ონლაინ შეხვედრა აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის თემაზე „როგორ შევარჩიოთ სამეცნიერო ჟურნალი“;
- განხორციელდა ონლაინ ვორქშოფი თემაზე „ღია მეცნიერების პრინციპები“;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდება ონლაინ ტრენინგი „სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავება და ანალიზი R-ის გარემოში";
- ჩატარდა ონლაინ ვორქშოფი „აკადემიური თავისუფლება";
- ჩატარდა ონლაინ ვორქშოფი „მენტორობა და სამეცნიერო ხელმძღვანელობა";
- ჩატარდა ონლაინ ვორქშოფი „კოლაბორაციული კვლევა";
- ევროპის უნივერსიტეტის და ქუთაისის უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართა მესამე საერთაშორისო კონფერენცია „განათლება, ტექნოლოგიები და ინოვაცია";

- აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ონალინ ვორქშოპი თემაზე „სამეცნიერო ეთიკა სასწავლო და კვლევით საქმიანობაში";
- აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ონლაინ კურსი „რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი SPSS-ში";
- აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ონლაინ ვებინარი თემაზე „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების ეთიკური გამოყენება სასწავლო პროცესში".

აკრედიტაციის ვიზიტის დროს, ინტერვიუზე გამოცხადებულმა აკადემიურმა, მოწვეულმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა დაადასტურა ტრეინინგებში და ღონისძიებებში მონაწილეობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე, ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

მიუხედავად ამისა, აკადემიური/მოწვეული პერსონალს შორის, სამეცნიერო პროდუქტიულობისა და ხილვადობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი განსხვავებები შეინიშნება. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფის ხედვით, ევროპის უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს ძალისხმევა, რათა ყველა მის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ჰქონდეთ ისეთ საერთაშორისო სამეცნიერო პლატფორმებზე ანგარიშები, როგორებიცაა: Google Scholar, Researchgate, ORCID, Scopus/Elsevier, Web of Scinece/Clarivate.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- შპს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ევროპის უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ პროგრამაში ჩართულ ყველა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ჰქონდეს Google Scholar, Reseachgate, ORCID, Scopus/Elsevier, Web of Science/Clarivate პლატფორმებზე ანგარიშები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ევროპის უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დადებითად ფასდება. აუდიტორიები, სასწავლო სივრცე, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული აუდიტორიები და ა.შ. აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს.

უსდ-ში არის სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სათანადოდ აღჭურვილი აუდიტორიები. მისასალმებელია, რომ თითოეული აუდიტორია აღჭურვილია თანამედროვე საილუსტრაციო ტექნიკით ე.წ. ჭკვიანი დაფებით (smart desk).

უსდ-ს ასევე აქვს იმიტირებული სასამართლო პროცესების დარბაზი, სადაც სტუდენტებს უტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობები, მოდელირებული სასამართლო პროცესები, რაც მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

ბიბლიოთეკა კომფორტულია მუშაობისთვის და კვლევისთვის. უნივერსიტეტის წარმომადგენლების განმარტებით მათ რამდენიმე სასწავლო კორპუსში აქვთ ბიბლიოთეკა. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა გურამიშვილის გამზირზე მდებარე მთავარ კორპუსში არსებული ბიბლიოთეკა. დათვალიერების შედეგად გამოირკვა, რომ ბიბლიოთეკაში რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია მათი ელექტრონულად მოძებნა. ბიბლიოთეკაში დაცულია სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უსდ ზრუნავს პროგრამის საბიბლიოთეკო, მატერიალური, საინფორმაციო და ციფრული რესურსების განახლებაზე. ინტერვიუს პროცესში აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა დაადასტურა რომ პერიოდულად აწვდიან ადმინისტრაციასა და ბიბლიოთეკას ინფორმაციას ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით. ხოლო, ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ ისინი სწრაფ რეაგირებას ახდენენ პროგრამის ფარგლებში გაჩენილი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ანუ ლიტერატურის შეძენის, მოძიების და საინფორმაციო-ციფრული რესურსების განსაახლებლად.

უსდ სტუდენტს სთავაზობს სამართლებრივი აქტების ელექტრონული ბაზებით (matsne.gov.ge) სარგებლობის შესაძლებლობას, რომლითაც ისინი შეძლებენ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მოძიებას. ბიბლიოთეკაში მომხმარებლების (ე.წ. user) რაოდენობა საკმარისია. ავტორიზებულ რეჟიმში აღნიშნულ ბაზასთან წვდომის უფლება აქვს ერთდროულად 4 მომხმარებელს.

სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსებით. უნივერსიტეტის სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია ისეთი სამეცნიერო ბაზები, როგორიცაა: Sciencedirect, scopus, HeinOnline, Cambridge Journals Online და სხვ. მრავალი. მისასალმებელია, რომ ბაზებზე წვდომა სტუდენტს შინიდანაც აქვს. ამისათვის საჭიროა, სტუდენტმა უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს სთხოვოს ბაზაზე წვდომა და გააქტიურდეს მისი მომხარებელი უსდ-ს ელ-ფოსტის ბაზაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერება
- ინტერვიუირების შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ევროპის უნივერსიტეტმა სააკრედიტაციო დოკუმენტაციაში წარმოადგინა კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებული ბიუჯეტის დოკუმენტაცია. შესაბამის საქაღალდეში წარმოდენილი დოკუმენტი შეიცავს: შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ 2024-2025 აკადემიური წლის ბიუჯეტს, 2024-2025 აკადემიური წლის ფაკულტეტის ბიუჯეტსა და 2025-2026 აკადემიური წლის კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფინანსური გეგმა.

წარმოდგენილი დოკუმენტები საკმაოდ ინფორმაციულია და მოიცავს სხვადასხვა მონაცემს. უნივერსიტეტის ბიუჯეტის დოკუმენტით დასტურდება, რომ წლის ბოლოს გათვალისწინებულია სოლიდური დადებითი ფინანსური შედეგი. დადებითი ფინანსური შედეგი გათვალისწინებულია აგრეთვე ფაკულტეტის ბიუჯეტის დოკუმენტითაც.

უსდ-ის მენეჯმენტის განმარტებით, კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი შედგენილია 20 სტუდენტზე გათვლით.

პროგრამის შემოსავლები ჩაშლილია შემდეგ მუხლებად: შემოსავალი უ/ს საქმიანობიდან, ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტები, საპროცენტო შემოსავალი, სხვა შემოსავალი. ვინაიდან, პროგრამა ჯერ არ ხორციელდება ზოგიერთი გრაფა არაა შევსებული. წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობიდან არსებული შემოსავლის ოდენობა.

წარმოდგენილ დოკუმენტში დეტალურადაა მითითებული პროგრამის ხარჯები, რომელიც ჩაშლილია შემდეგ მთავარ კომპონენტებად: ხელფასი (ჯამი), აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, სტუდენტური და აკადემიური პერსონალის აქტივობა, სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა, სარეკლამო ხასიათის აქტივობა, სესხის ფინანსური უზრუნველყოფა, კაპიტალიზებული ხარჯი, სხვა ადმინისტრაციული ხარჯი.

პროგრამის ხარჯის მთავარი წილი მოდის ხელფასებზე, რომელიც ჩაშლილია შემდეგ მუხლებად: აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანაზღაურება (პროგრამები მიხედვით), ადმინისტრაციული პერსონალი (ფაკულტეტების მიხედვით. კერძოდ: დეკანი, მოადგილე, მენეჯერები, პროგრამის ხელმძღვანელები, პრაქტიკის ცენტრის ხელმძღვანელები), აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პრემია/დანამატი/წახალისება/ჯგუფური შეჭიდულობა.

მისასალმებელია, რომ ბიუჯეტის დოკუმენტით გათვალისწინებულია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გათვალისწინებული ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ჩაშლილია შემდეგ მუხლებად: აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება (პროგრამების მიხედვით), ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება (ტრეინინგები და სხვა), მივლინება.

პროგრამის ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამის შემოსავლები აღემატება გასაწევ ხარჯებს, თუმცა არა მნიშვნელოვნად. შესაბამისად, კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფინანსური შედეგი მცირეა.

რჩევის სახით, შეიძლება ითქვას, რომ კარგი იქნებოდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გაეძლიერებინა დაფინანსება სტუდენტთა მეტი რაოდენობის მოზიდვის

მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობებისა, რათა გაიზარდოს პროგრამის შემოსავალი და შეზღუდული არ იყოს პროგრამის განვითარებისაკენ მიმართული აქტივობების განხორციელება, რომლებიც ხშირად მნიშვნელოვან ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უსდ-ის მენეჯმენტის განმარტებით, ვინაიდან უსდ-ს მოგება წლის განმავლობაში საკმაოდ მაღალია, უსდ მოახდენს პროგრამის ყველა საჭიროების, შესაბამისად ხარჯის დაკმაყოფილება/დაფარვას.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის სტანდარტის ამ კომპონენტის ჭრილში შესაფასებელია არა ის, გადის თუ არა პროგრამა სოლიდურ ფინანსურ მოგებაზე, არამედ - არის თუ არა პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადი და შეესაბამება თუ არა პროგრამის საჭიროებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- შპს ევროპის უნივერსიტეტის 2024-2025 აკადემიური წლის ბიუჯეტი
- 2024-2025 აკადემიური წლის ფაკულტეტის ბიუჯეტი
- 2025-2026 აკადემიური წლის კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფინანსური გეგმა
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია უსდ-მ გააძლიეროს სტუდენტთა მეტი რაოდენობის მოზიდვის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების დაფინანსება, რათა გაიზარდოს პროგრამის შემოსავალი და არ იყოს შეზღუდული პროგრამის განვითარებისაკენ მიმართული აქტივობების განხორციელება, რომლებიც ხშირად მნიშვნელოვან ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო ევროპის უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები რომლებიც, უნივერსიტეტის სტრატეგიული მენეჯმენტის ნაწილადაა წარმოდგენილი, რაც ევროპის უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული ამოცანების მიღწევისთვის გამოიყენება. გარდა ამისა, წარმოდგენილი მექანიზმები სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევებისა და შეფასების პრაქტიკას ეყრდნობა. კერძოდ, ის საკმაოდ ინკლუზიური და კომპლექსური პროცესია და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ისეთ ინსტრუმენტებს მოიცავს, როგორც: პროგრამის შიდა თვითშეფასებას, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვას, სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა და სამიზნე ნიშნულების ანალიზს, დამსაქმებლების კვლევას, გარდა ამისა აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის თვითშეფასებასა და შეფასებას.

შესწავლილი დოკუმენტებიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის მომზადებისა და დამტკიცების პროცესი ემთხვევა შიდა საუნივერსიტეტო წესით განსაზღვრულ პროცედურას. კერძოდ, თავდაპირველად თანამშრომლობითი გზით შემუშავებული პროგრამა შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს, რასაც თან ახლდა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა, რაც ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცების შემდეგ, გაეგზავნა საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელმაც პროგრამას გარკვეული რეკომენდაციები მისცა. მოცემული კომენტარების გამოსწორების შემდეგ, პროგრამა დამტკიცდა მმართველი საბჭოს მიერ.

როგორც დოკუმენტების შესწავლამ, ისე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობდა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ერთი მხრივ, პროგრამის ხარისხის შეფასების საკითხი, ხოლო, მეორე მხრივ, თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის პროცესში გამოვლენილ გამოწვევებზე მსჯელობა. დოკუმენტებისა და ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ თვითშეფასების ჯგუფის წევრები ერთმანეთს რეგულარულად ხვდებოდნენ.

როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან, ისე პირისპირ ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ ჯგუფის მიერ გამოვლენილი გამომწვევებიდან დასახელდა ორი მნიშვნელოვანი გამოწვევა ესენია: ინტერნაციონალიზაციის გაფართოება და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში დაინტერესებული მხარეების აქტიური თანამონაწილეობა. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით თვითშეფასების ჯგუფის ხედვით, მნიშვნელოვანია, როგორც სტუდენტების გაცვლით და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მუდმივი ზრდის უზრუნველყოფა და ამავდროულად, საერთაშორისო პროფესორების მოზიდვა. თავის მხრივ, თვითშეფასების ჯგუფის მიერ სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების პროგრამის შეფასების პროცესში სისტემური ჩართულობა მნიშვნელოვან საკითხად დასახელდა. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში თვითშეფასების ჯგუფს აქვს განსაზღვრული გეგმა თუ რა აქტივობების გატარებაა საჭირო მოცემული საკითხების გამოსასწორებლად და სასურველი შედეგის უზრუნველსაყოფად.

გარდა ამისა, როგორც შესწავლილი დოკუმენტებიდან, ისე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების პროცესი თანამშრომლობითი გზით წარიმართა, რომელშიც ძირითადად საფაკულტეტო ადმინისტრაციის, საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური და მოწვეული პერსონალი იყო ჩართული. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, როგორ იყო სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების პოზიციები გაჟღერებული თვითშეფასების პროცესში, რაზეც ჯგუფის წევრების თქმით, თითოეულ მათგანთან ჩატარებულმა შერეული ტიპის კვლევამ აჩვენა მათი დამოკიდებულებები, ძლიერი, სუსტი მხარეები და გასაუმჯობესებელი მხარეები, რაც თვითშეფასების დოკუმენტზე მუშაობის პროცესსა და სუსტი

მხარეების იდენტიფიცირების პროცესში გამოვლინდა. ამასთან, ვინაიდან პროგრამა ახალია, მას მოქმედი სტუდენტები და კურსდამთავრებულები არ ჰყავს.

კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ინტერვიუების დროს აღნიშნავდა, რომ ისინი როგორც საფაკულტეტო, ისე საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მათ რამდენიმე მიმართულებით ეხმარებოდა. ესენია: პროგრამის და სასწავლო კურსის მიზნისა და მკაფიო სწავლის შედეგების ფორმულირება, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის ჩამოყალიბება, აკადემიური მოსწრების ანალიზზე დაყრდნობით, შეფასების კომპონენტების გაუმჯობესება. თავის მხრივ, თანამშრომლობითი და ნდობაზე დაფუძნებული კავშირებია საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს შორის.

ზემოთჩამოთვლილი მაგალითები და პრაქტიკა მიუთითებს, რომ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ნამდვილად ეფუძნება პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე".

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი დანართები
- ევროპის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის ფორმები და შედეგები
- პირისპირი ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1შიდა ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასების პროცესი ხორციელდება ორი ძირითადი გზით. პირველი ეხება სახელმწიფოს მიერ გარე შეფასებას, რასაც საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს, ხოლო მეორე ეხება თავად ევროპის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გარე შეფასებას, რაც მოიცავს კოლეგიალურ შეფასებას და დამსაქმებლების მიერ პროგრამის გარე შეფასებას, მათ შორის შრომის ბაზრის კვლევის კომპონენტსაც.

კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ახალია. ამდენად, მას სსიპ - საქართველოს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების პროცესი არ გაუვლია და მისგან რეკომენდაციები და რჩევები არ მიუღია.

რაც შეეხება გარე კოლეგიალურ შეფასებას, ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიური მონაწილეობით, შესაბამისი ფორმის მიხედვით, კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა პროფესორმა ზვიად როგავამ, რომელმაც დეტალურად განიხილა პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები. გარე შემფასებელმა პროგრამას რამდენიმე რეკომენდაციაც მისცა. მათი დიდი ნაწილი, რაც ძირითადად სტრუქტურასა და კონკრეტული სასწავლო კურსების შინაარსს ეხებოდა. თუმცა, დაწესებულებამ არ გაითვალისწინა გარე შემფასებლის რეკომენდაცია პროგრამაში სწავლის შედეგების 10-მდე შემცირების შესახებ, რადგან პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამამ 11 სწავლის შედეგი ჩამოაყალიბა, რაც სრულიად ლოგიკურია, რადგან სწავლის შედეგების რაოდენობრივი განსხვავება არ იძლევა არსებით განსხვავებას. გარდა ამისა, პროგრამის გარე შეფასების ინსტრუმენტად წარმოდგენილია დამსაქმებელთა გამოკითხვის სახით, რომლებმაც პროგრამა სხვადასხვა მიმართულებით შეაფასეს.

ამდენად, საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკა გარე ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას კომპლექსურად უყურებს, რაც მოიცავს არა მხოლოდ ადგილობრივი და საერთაშორისო კოლეგიალური შეფასებების ან აკრედიტაციის დროს მიღებულ შეფასებებს, არამედ დამსაქმებლებისა ხედვებს, რაც მიუთითებს, რომ ხედვა სისტემურია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გარე კოლეგიალური შეფასება
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში
- პირისპირი ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და შეფასება ხდება განსაზღვრული წესითა და პერიოდულობით. ამასთან, განსაზღვრულია, რომ მისი შედეგები უნდა გამოიყენებოდეს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით ირკვევა, რომ აღნიშნული პროცესი ინკლუზიურია და პრაქტიკაშიც მუშაობს. კერძოდ, მასში ჩართულია აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები. ამასთან, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროცესი საკმაოდ სისტემურ სახეს ატარებს, რადგან ის ეყრდნობა სოციალურ მეცნიერებათა შერეული კვლევის მეთოდოლოგიას და მონაცემთა აგრეგირების პრაქტიკას, რაც საბოლოოდ დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბების შესაძლებლობას იძლევა.

ამასთან, ევროპის უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების მიხედვით, ხორციელდება აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის თვითშეფასების პროცესი, რომლის შედეგებსაც შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს და აფასებს. ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ ევროპის უნივერსიტეტის ხედვით, მოცემული პრაქტიკა არა მკაცრ კონტროლსა და შემოწმებაზე, არამედ თვითგანვითარებასა და თვითრეფლექსიაზე დგას. გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების შემოწმება როგორც ონლაინ მასობრივი გამოკითხვის, ისე ფოკუს ჯგუფების მეშვეობით. თავის მხრივ, სტუდენტები ყოველი სასწავლო კურსის ბოლოს აფასებენ

კონკრეტულ სასწავლო კურსს. იგივე პრაქტიკა მოქმედებს სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში, რაც ვიზიტის დროს როგორც სტუდენტებთან, ისე კურსდამთავრებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და საველე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ პერიოდულად ხდება საგანმანათლებლო პროგრამების შედარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. მოცემულ შემთხვევაშიც, დაწესებულებამ წარმოადგინა ე.წ "ბენჩმარკინგის" საკმაოდ დეტალური დოკუმენტი. აღნიშნულის მიხედვით საუკეთესო ადგილობრივი და სართაშორისო პრაქტიკის გამოყენებაა დასახელებული.

ამდენად, მონაცემთა შეგროვების, ანალიზის, ინტერპრეტაციის, დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბების პროცესში, როცა საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და ეფექტიანობა ფასდება, ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად, ხორციელდება პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პირისპირ ინტერვიუს შედეგები
- ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ევროპის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის ფორმები და შედეგები
- აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების ფორმები და შედეგები
- სასწავლო კურსისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების ფორმები და შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

არჩილ ჩოჩია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ილია წიკლაური

ნინო ბოგვერაძე

სანდრო ტაბატაძე



დიმიტრი ცანავა